



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 66
27/09/2019


66-09-4-201909271751



თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროს“ (ს/კ 431178655) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს ქ. თელავში, დავით რექტორის ქუჩა N8-ში მდებარე შენობა-ნაგებობის II სართულზე არსებული 219.6 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი: 53.20.46.188).
2. განკარგულება ძალაში გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

არჩილ თხლაშიძე  1

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



